დანართი1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____

დამტკიცებულია:

_____

____03.06.2026 წელი,ბრძ N 34

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

დებულება

ქ.თბილისი

2026წ.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - "დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის" (შემდეგში - უნივერსიტეტი) საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (შემდეგში - სამსახური) ფუნქციებს და უფლებამოსილებას, სტრუქტურას და საქმიანობის წესს, ხელმძღვანელობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

1.2. სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საქმიანობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად;

1.3. სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

2. სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

16.1. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის, ინტერნაციონალიზაციის, საჯარო კომუნიკაციის, პოზიტიური იმიჯისა და რეპუტაციის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე უნივერსიტეტისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტიანი ურთიერთობების უზრუნველყოფა.

16.2. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება;

გ) საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაფართოებისა და გაღრმავების ხელშეწყობა;

დ) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

ე) უნივერსიტეტის საქმიანობის, მიღწევებისა და განვითარების შესახებ საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფა;

ვ) უნივერსიტეტის პოზიტიური იმიჯისა და რეპუტაციის ფორმირებისა და გაძლიერების ხელშეწყობა;

ზ) უნივერსიტეტისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის განვითარება.

16.3. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო თანამშრომლობის, პარტნიორობისა და ინსტიტუციური კავშირების განვითარების კოორდინაცია;

ბ) საერთაშორისო პროექტების, პროგრამებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისი პროცესების მხარდაჭერა;

გ) საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობისა და შეთანხმებების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) უნივერსიტეტის საგარეო და საზოგადოებრივი კომუნიკაციის პროცესების კოორდინაცია;

ე) უნივერსიტეტის საქმიანობის, მიღწევებისა და ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო და საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელება;

ვ) უნივერსიტეტის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების, მათ შორის ვებგვერდის, სოციალური მედიის პლატფორმებისა და საინფორმაციო რესურსების კოორდინაცია და განვითარება; ინფორმაციის სისტემური განახლება:

- www.sdasu.edu.ge
- ოფიციალური ფეისბუკის გვერდი: www.facebook.com/universitysdasu/ (საქართველოს დავით აღაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი*სდასუ);
- ოფიციალური youtube-ის არხი;

ზ) უნივერსიტეტის ბრენდის, იმიჯისა და რეპუტაციის განვითარების ხელშეწყობა;

თ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებისა და კოორდინაციის მხარდაჭერა;

ი) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე;

კ) უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

ლ) უნივერსიტეტის სკოლების, ტელევიზიის (SDASU TV) საქმიანობის, ასევე აკადემიური პერსონალის პოპულარიზაცია;

მ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის მხარდაჭერა.

16.4. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

16.5. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

3. სამსახურის სტრუქტურა

3.1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სპეციალისტისგან;

3.2. სამსახურის უფროსს და სამსახურის სპეციალისტს სამუშაოზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტში შესაბამისი თანამდებობებისათვის გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

3.4. სამსახურის უფროსის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროცესების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

ბ) საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიულ ორგანიზაციებთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა;

გ) სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

დ) საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის, ინტეგრაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებების კოორდინაცია;

ე) უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის, რეპუტაციისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა;

ვ) უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და გარე კომუნიკაციის პროცესების კოორდინაცია;

ზ) უნივერსიტეტის საქმიანობის, მიღწევების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო შესაძლებლობების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

თ) მედიის, პარტნიორი ორგანიზაციების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

ი) უნივერსიტეტის იმიჯისა და ბრენდის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ნდობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით;

კ) უნივერსიტეტის ციფრული კომუნიკაციისა და სოციალური მედიის არხების მართვისა და განვითარების კოორდინაცია;

ლ) სამსახურის კომპეტენციის სფეროში მონაცემების, შედეგების და უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

მ) სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და შედეგების შეფასება.

3.5. სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის სპეციალისტი.

3.6. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით, ხოლო სამსახურის ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისათვის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს შესაბამის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილს. მათ შორის, სამსახურის უფროსისთვის, გარდა ამ მუხლის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო მოვალეობებისა, სამუშაო აღწერილობით შეიძლება დადგინდეს დამატებითი ძირითადი და დეტალური ფუნქციები, სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

4.1. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.